ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** ხუთშაბათი, 6 დეკემბერი № 1662

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის"-„ცნობის ფურცლის" რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372

ხუთშაბათს, 6 დეკე **ქართული თეატრი** **მბერს 1901 წელს**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ა. მ. კარგარეთლის საბენეფისოდ

ქალ. ალექსი-მესხიშვილისა და გ. აბაშიძეს მონაწილეობით პირველად ახალი პიესა

პატიოსნება

კომედ. 4 მოქ. ზუდერმანისა, თარგ. ახნაზაროვისა.

II

ადვოკატთან

კომედია 1 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა, მდივანი, კავთელი; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

მზადდება „პატარა კახი", „შედგოგები" „უცნაური ხაფანგი" რეჟისორი **ვ. გუნია.**

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და ამუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (ნ. 0—33)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს თავად-აზნაურთ, მობრძანდნენ გუბერნიის თავად-აზნაურთა **საგანგებო კრებაზე** 8 მომავალ დეკემბერს, დილის 10 საათზე, ტფილისის საქალაქო საბჭოს დარბაზში.

განსახილველი საგნები:

1) არჩევა დეპუტაციისა თავად აზნაურობისაგან, რომელმაც უნდა მოახსენოს უქვეშევრდომილესი მადლობა მის უდიდებულესობას **ხელმწიფე იმპერატორს** და მადლობა უერთგულესი დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს.

2) დამტკიცება უერთგულესის ადრესისა **ხელმწიფე იმპერატრისა** დ დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის მიმართ.

3) წეს-რიგი კანდიდატების წარსადგენად კადეტის კორპუსების ვაკანსიებზე, რომელიც დაარსებულია გუბერნიის თავად-აზნაურთათვის.

4) რა დანიშნულება მიეცეს და რა წესით იქნას დახარჯული უმაღლესად ნაბოძები 40,000 მანეთი ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დასახმარებლად.

5) დამტკიცება იმ პასუხებისა, რომელიც გაეგზავნა შიდა გუბერნიების თავად-აზნაურთ და კერძო პირთ მილოცვაზე საქართველოს რუსეთთან შეერთების იუბილეის გამო.

6) ბ-ნ როზალიონ-საშალსკის წერილის მოხსენება იმის გამო, რომ მას არ მიუვიდა მისაწვევი ბარათი სადილზე და საღამოზე, რომელნიც თავად-აზნაურობამ გამართა იუბილეის დღესასწაულის დროს.

7) მევენახეთა გაჭირვება ახალი სააქციზო წესებისაგან, რომელიც შემოღებულია ჭაჭის არაყის გამოხდისათვის და

8) შუამდგომლობის აღძრვა იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობის მომავალი კრება დაინიშნოს 1902 წლის დეკემბერში. (ნ. 3—3)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

ილებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ექიმი

კ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

4 დეკემბერი

ვარშავა. ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, ამ მხრის სახაზინო რკინის გზების შესაერთებლად აღძრულია კითხვა ბელოსტოკ ვარშავას რკინის გზის ვისლის გზების უწყებისათვის გადასაცემად.

ტობოლსკი. მოსკოვის ფირმამ „ნეპტუნმა" დაასრულა ცეცხლის წინააღმდეგ საბრძოლველ წყლის მილი ამერიკულ ფილტრით.

ლოძი. ვარშავა კალიშის რკინის გზა სარდზამდე დამთავრებულია. სარდზაში ჩამოვა ინჟენერი მდ. ვარკაზე ხიდის ასაშენებლად.

ხარკოვი. ფინანსთა მინისტრის წინაშე სამთო მრეწველთა შუამდგომლობის დასახმარებლად არჩეული არიან ინჟინერები ავდაკოვი, იასიუკევიჩი, იუზი, გორიაინოვი, ჟუკოვსკი, ტასკინი და კანეგისერი და ქვანახშირის მრეწველი კარპოვი. დეპუტაცია წავა პეტერბურგში ამ თვის შუამდე.

მოსკოვი. 4 დეკემბერს გაიხსნა სიფხიზლის საზოგადოების მეორე სახალხო სახლი. 4 დეკემბერს სიფხიზლის საზოგადოებამ გახსნა შრომის ბიურო.

ბუქარესტი. ნაციონალურმა ბანკმა გაგზავნა ცნობა პარიზში, ბერლინში და ფრანკფურტში, რომ რუმინიის რენტის იანვრის კუპონს გადაიხდის ამ დღიდანვე. ამასთანავე ბანკი შეუდგა ბუქარესტში კუპონების გადახდას.

ლონდონი. გაზეთების აზრით, როზბერის სიტყვა მოწვევაა ახალ პარტიის შესადგენად. პოლიტიკურ წრეების აზრით, როზბერის მიერ ჰომრულის და ირლანდიელებთან კავშირის უარის ყოფა ნიშნავს იმას, რომ იგი წინადადებას აძლევს ლიბერალებსა და უნიონისტებს ახალ პარტიაში ჩაეწერონ.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანია. ბებელს კიდევ სოფლის მეურნეობის და მაბატონეების მდგომარეობაზე ელაპარაკნა და დაუმტკიცებინა მრავალის ციფრითა და საბუთებით, რომ მებატონეების და [illegible] მემამულეების ყოფა სულაც არაა ისე გაჭირვებული, როგორც თვითონ ჩივიან. სოციალ-დემოკრატების მჭევრ-მეტყველ მეთაურს უთქვა:

«აბა ერთი კარგად დაუკვირდეთ მრავალ ფაქტსა და ციფრს, ვნახოთ რა მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობა გერმანიაში. რა საბუთის ძალით ამტკიცებენ, რომ სოფლის მეურნეობას ზარალის მეტი არა მოაქვს რა? სოფლის მამულს ბოლო დროს, როდესაც წლიურად, იქნება ისე ძლიერ აღარ ემატებოდა ფასი, მაგრამ როდესაც წლის ფასს მნიშვნელობა არა აქვს, ამ საქმეში კარგა ხნის, ბევრი დროის ფასები უნდა აიწონ-დაიწონოს,—მაშინ გამოჩნდება, რომ, მაგალითად, დოქტორ შტეინბრიუკეს გამოკვლევით ჰალეში, ერთი ჰექტარი მიწა დიდ მამულებში 1890 წელს საშუალოდ ღირდა 736 მარკა, 1895 წელს კი—2,944 მარკა ღირებულა. გლეხ-კაცების მამულის ფასს კი 500 და თითქმის 700% მოემატა. კომისიის მოხსენებით, პოზნანში, როცა კომისიამ პირველად დაიწყო მოქმედება, ერთ გვარ მიწაში საშუალოდ 566 მარკას აძლევდნენ, ეხლა 840 მარკას აძლევენ. ბატონებო, მეურნეობა კარგად წაიყვანეთ, სოფელში ისხედით და ცხოვრება არას დროს არ გაგიჭირდებათ»—უთხრა ბებელმა მებატონეებს. გრაფი კანიცი სიტყვას აწყვეტინებს და ეკითხება: «გნებავთ, ჩვენ ადგილას თქვენ დაბრძანდეთ სოფელში?»—«დიდის სიამოვნებით, გრაფო, თქვენმა ამხანაგმა ჰამფმა გუშინ თავისი მამული ჩემს ამხანაგს მოლკენბურგს შეაძლია, მაგრამ მე მგონია, რომ ესეც ისე იყო ნათქვამი, როგორც ადრე ბისმარკმა მითხრა: თუ გინდათ, აღმოსავლეთ პრუსიის გუბერნატორად თქვენ დაგაყენებთ, მაშინ დარწმუნდებით, რომ თქვენი აზრებისა და იდეალების ასრულება შეუძლებელი საქმეა (ყველანი ძალზე იცინიან). სანამ ბისმარკი სამსახურიდან გადადგებოდა, სულ ყოველთვის გელოდებოდი, ან ეხლა დამნიშნავს გუბერნატორად, ან ეხლა-მეთქი, მაგრამ ამაოდ. მგონია, რომ თქვენ მამულებსაც

ფელეტონი

რა მოხდა?

I

თითქმის ერთი თვე ვიყავით ჩვენ გაჩუმებულები. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა ჩვენ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი, ყურადღების ღირსი, ბევრი რამ იყო იმისთანა, რაზედაც ხმა უნდა ამოგვეღო, რადგ[illegible] ეხებოდა ჩვენს მეგობრებს, პირადათ მეც, რადგან სალაპარაკო და საკამათო საგნათ გამხდარა ეგრედ წოდებული „ცნ. ფურც."-ის ჯგუფის მოქმედება და ზნეობრივი ფიზიონომია. ბევრმა კარგად იცოდა, რომ ჩვენი სიჩუმე იძულებული იყო და ჩვენი მდგომარეობა ამ ძალდატანებულ გაჩუმების დროს, მეტად საძნელო და არა სასიამოვნო, რადგან ჩვენ (ე. ი. ჩემი ამხანაგები და მე) პასუხის მგებელნი ვიყავით საზოგადოების წინაშე იმ საქმეში, რომელთაც ასე აღელვებს ქართველობა ამ ბოლო ხანში, ხოლო ჩვენ ლაპარაკის ნება არ გვქონდა „ცნ. ფურც."-ში შინაურ მიზეზების გამო. ყველა ამითი კარგა სარგებლობდნენ ჩვენი მოპირდაპირენი და ჩვენი დამცირებისათვის არა დაჰზოგეს-რა. ისიც კი სთქვეს, რომ ამრჩევნებთა გულის მოგებისათვის არა დავზოგეთ რა, თვით ჩვენს რწმენებზედაც ავიღეთ ხელი*).

მაგრამ ძლიერ გასამტყუნარნი არ არიან ჩვენი „ახალი" მოპირდაპირენი. მომხდარ ამბების მათი უსამართლო დაფასება უცოდინარობისაგან წარმოსდგა. უცოდინარობაც, რა საკვირველია, ბოდიშის მოსახდელი არ არის, მაგრამ რას გააწყობთ, როდესაც ჩვენი „მოღვაწენი" და[illegible]მწერლები ისე შეეჩვივნენ დამყარებულ და გაქვავებულ მსჯელობის და მოქმედების წესს, ისეთ სიბრმავეს იჩენენ საზოგადოებრივ ცხოვრების დაფასებაში, რომ არ ხედავენ იმას, რაც მათი მოქმედების ჩვეულებრივ გეგმაში არ შედის და რაც მათი სახლის ან რედაქციის გარეშე ხდება. არა ხედავენ და არც უნდათ დანახვა, რადგან ეს „ახალი" მაგათი წრის გარეშე დაიბადა და ფრთა შეისხა, რადგან ამ „ახალის" დანახვისათვის სხვა საზომია საჭირო, ისტორიულ პერსპექტივის სხვანაირი გათვალისწინება. მოდით და გაამტყუნეთ ისინი, ვისაც არა აქვს ამისი უნარი, ვინც ბეჭდვით გადაბირებულ ფურცლის მონად გამხდარა და დამოუკიდებელ მსჯელობას არის მოკლებული.

დიაღ, სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი ინტელიგენციის აზრი და მოქმედება მეტად ვიწრო ფარგლითაა შემოზღუდული. ამითი აიხსნება, რომ ყოველთვის, როდესაც კი მოხდება რამე ამ ფარგალის გარეშე, იგი გაოცებული და განრისხებული რჩება (ეს საიდანღა გამოთყვრა, აქ მამულის ღალატი იმალებაო). აზრი, გრძნობა, მისწრაფება და ლტოლვილება, მათის შეხედულებით, მარტო მწერალთა და ლიტერატორთა წრეებში იბადება, რომ რაც რედაქციებს გარეშე (ეკეთ ვსთქვათ, ერთ ერთ ძველ რედაქციის გარეშ) იბადება, ის პატივსადები და ყურადღების ღირსი არ არისო. მხოლოდ ამითი აიხსნება სრული გაუგებრობა ერთის თვალსაჩინო მოვლენისა, რომელმაც ამ ბოლოს დროში იჩინა თავი ჩვენს ცხოვრებაში. ამ მოვლენის გამოსახვა-გამორკვევაში ჩვენც გვიდევს ჩვენი წილი და ამისათვის პასუხის მგებელნი ვართ საზოგადოების წინაშე და ჩვენი აზრების და მოქმედების სრული ანგარიში უნდა ჩავაბაროთ მას, რადგან ამ საქმეში არც დასამალი, არც ბოდიშის მოსახდელი არა ადამიანის წინაშე არა გვაქვს რა.

როდესაც ამ ნახევარ წლის წინად ჩვენ „საერთო მოღვაწეობის ნიადაგზე" ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, ქართული პრესსა დიდის გულგრილობით დაუხვდა ამ ჩვენს ლაპარაკს. «კვალს" არ მოეწონა ზოგიერთი მოსაზრებანი და გაილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ. „ივერია" დამშვიდებულად სდუმდა, არც ჰოს ამბობდა, არც არას. მაშინ ჩვენ ვამბობდით: «თუ ჩვენში არის საერთო მოქმედების ასპარეზი, თუ ეს ასპარეზი ყველასათვის თვალსაჩინოა, სად არის ის პარტია, რომელიც მოქმედობს ამ ნიადაგზე? თუ ნიადაგი არის, პარტიაც უნდა იყოს. თუ პარტია არ არის, ორში ერთია—ან ნიადაგი არ არის, ან კიდევ გაურკვეველია*). ამ აზრების გამოთქმის შემდეგ მე თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ საერთო მოქმედების ნიადაგი ჩვენში გამოურკვეველი იყო, რომ გამოურკვეველი იყო განსაკუთრებით ის, თუ ვის, ჩვენის საზოგადოების რომელ ნაწილებს და ჯგუფებს შეეძლოთ ერთმანეთისათვის ხელი გაეწოდათ და პრაქტიკულ ნიადაგზე საერთოდ ემოღვაწნათ. საერთო მოღვაწეობა შეუ[illegible] ანთ მათ, ვისთვისაც ერთნაირად ძვირფასია ხალხოსნობის ინტერესები, თუნდაც ესენი სხვა-და-სხვანაირად ემსახურებოდნენ ამ ინტერესებს. საუ[illegible]როდ, ჩვენს მოქმედებას ერთგვარი მიზანი არა ჰქონია და არა აქვს. არის ერთი დიდი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა, რომლისთვისაც პირადი ანგარიშის გარედ არც ერთი აზრი, არც ერთი გრძნობა, არც ერთი ლტოლვილება არ არსებობს. არის ერთი ნაწილი ჩვენი „მოღვაწე-მწერლებისა", რომელთ ფიქრი მხოლოდ ერთ მხარეზეა მიქცეული და ხალხის კეთილ-დღეობაზედ იმდენად ზრუნავენ და ჰფიქრობენ ისინი, რამდენადაც ეს ზრუნვა ხელ-უხლებელს სტოვებს არსებულ ეკონომიურ-წყობილებას, რამდენადაც ეს ზრუნვა ემსახურება ვითომდა შესაძლებელ საერთო (განურჩევ-

---

*) „ივერია" №.256.

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 1497

სწორედ აგრეთვე ვერ ვეღირსოთ ვერც მე და ვერც მოლტკენბურგი (ძალზე იცინიან). არ გეგონოთ კი, რაკი მამულებს მიიღებენ, სოციალ-დემოკრატიაზე ხელს აიღებენ და ნამდვილ მებატონეებად გადაიქცევიანო. ჩვენ დასში სამი დიდი მემამულე გვყავს: ერთს გუფერს, ცხენის ჯოგი ჰყავს. როცა ვკითხე, როგორ მოგწონს, ცხენებს რომ ბაჟი დაადეს-მეთქი, სისულელეა, უმისოთაც იოლად წავალთო,—მიპასუხა გუფერმა. ბრუნი და ებგარდი, ორივე დიდი მამულების პატრონები არიან, ამბობენ: «ოლონდ მებატონეებმა კარგად მოუარონ თავიანთ მამულებს და იმათი შვილები ქალაქის თამაშობაში და არშიყ ქალებთან ნუ გაჭყლანგვენ ფულებს, და ძალიან კარგად იცხოვრებენო». (მარცხენა მხარეს მოწონების გრგვინვა ისმის, მარჯვენა მხარე პროტესტს აცხადებს). ბატონებო, თუ ეგეთი საზარალო მამული, მაშ რად გეშინიანთ მამულის ჩამორთმევისა. მამულს ახს ფასად დაგიფასებთ, 4% რენტას დაგინიშნავთ... და აფრიკაში წასასვლელად გზის ფულსაც მოგცემთ (ხარხარებენ). კარგად მესმის, რომ დიდრონ მამულის პატრონებს დიდ ხეირს მისცემს ბაჟები და მათ შორის 41 კაცი ჩვენებური წვრილი სამეფო სახლების წევრნი არიან, ბევრ ჩვენ ამხანაგ დეპუტატსაც დიდ სარგებლობას მოუტანს ეს ბაჟები, მაგრამ გეკითხებით, განა წესია, განა დიდი უზრდელობა არაა, რომ ამისთანა კაცები ამ საქმეში თითონაც ხმას იღებენ და კანონ-მდებლობის როლს ასრულებენ? გრაფ ბიულოვს ვეკითხები, განა ამისთანა ამბების მნახველ ხალხს ჩვენი წესწყობილების პატივისცემა შერჩებათ-და? სტატისტიკა გვეუბნება, რომ 1882 წელს გერმანიაში 2,288,000 წვრილი მამულის პატრონი გლეხი იყო, 1895 წელს კი ეს რიცხვი 2,568,000-მდე ასულა; აქედან სჩანს, რომ წვრილი მესაკუთრეების რიცხვს 12% უმატნია და მათი მამულის ზომასაც ამდენივე მოჰმატებია. მაშ რაღა საბუთის ძალით ამტკიცებს ჩვენი თავად-აზნაურობა, თუ დიდი ბაჟები არ დაგვაწესეთ, ჩვენი გლეხ-კაცობა მთლად დაიღუპებაო. მებატონეები ჩივიან აგრეთვე, რომ სოფლის მუშები ქალაქებში მირბიან და თუ პურს ბაჟები მოუმატა, მაშინ მეტ სამუშაო ქირას მივცემთ და სოფლიდან აღარ გაუშვებთო. თუნდ უდიერი ბაჟები დაწესდეს, მაინც მუშები სოფელში არ დადგებიან, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თქვენ უკეთესს ფასს არ მისცემთ, იოტის ოდენსაც არას მოუმატებთ, მეორე კიდევ იმიტომ,—ეს მეორე მიზეზია, რაც არის,—ვინც კი სოფელში ცოტად მაინც შეგნებული კაცია, მირბის იქიდან, რადგანაც თავადი თუ აზნაური, სულ ერთია, ყოველი მებატონე მეტის მეტად ცუდად ექცევა, ისევ ისე ძველებურად ადამპაპის დროისებურად უყურებს გლეხ-ხალხს. სოფლელი მუშა ვეღარ იტანს ძველებურ მამაპაპურ წესებს; მოქალაქობრივი უფლება, კრებისა და ამხანაგობის თავისუფლებაც არა აქვს სოფელში და ამიტომ ყოველი ნიჭიერი სოფლელი მუშა სტოვებს სოფელს და ქალაქში მირბის. განა თავად-აზნაურობას თითონვე არ ესმის, თითონვე არ იცის, რომ ეს ასეა, ეხლა კრიზისის დროს ბევრი ქალაქელი მუშა დარჩა უსაქმოდ და შრომის ბიუროებმა ურჩიეს მებატონეებს, ეს მუშები დაიჭირეთო მებატონეებმა უპასუხეს: «ეს მუშები მეტის მეტად ბევრს თხოულობენ, მაგათი მუშაობა ხელს არ მოგვცემსო».

ბებელმა განაგრძო; «თქვენ იცით რა აზრისაც ვარ სარწმუნოებაზე, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მრცხვენიან იმათ მაგიერ, ვინც ქრისტიანის სახელს ატარებენ და ღმერთს ევედრებიან ჩვენი ბილწი, საზიზღარი საქმე დალოცე და აკურთხეო. თქვენ მაგივრად ვწითლდები სწორედ, როდესაც ვკითხულობ, მაგალითად, სოფლის მეურნეთა კრებაზე დეპუტატმა რეზიკემ თავისი ლაპარაკი ამნაირი სიტყვებით დაასრულა: «ბიურებივით ჩვენც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ჩვენ მართალს საქმეს. ღმერთსა ვთხოვთ, ამ საქმეში გაგვამარჯვებინოსო». თქვენ გინდათ გლახებს, არარის მქონეს, პირიდან ლუკმა გამოჰგლიჯოთ,—და გინდათ ღარიბი ხალხი გასცარცვოთ და ამისთანა საზიზღარ საქმეში ღვთის სახელს ახსენებთ, ღმერთსა სთხოვთ დახმარებას!—როგორ არა გრცხვენიათ!.. (რეიხსტაგის თავმჯდომარე: «დეპუტატო ბებელ, რა ნება გაქვთ, რომ თქვენ ამხანაგს დეპუტატს ეგრე ცუდად იხსენიებთ»).

ბებელი განაგრძობს: «ჯერ ხომ პურზე 3½ მარკა ბაჟია დაწესებული და ეხლაც კი, ამ კრიზისის დროს, რამდენიმე ასი ათასი ოჯახი მარტო კარტოფილით იკვებებ თავს, პურიც კი ვეღარ უშოვიათ (აგრარი რეზიკე: «კარტოფილიც კარგი საჭმელია!») დიახ, ბ-ნო რეზიკე, თქვენთვის და თქვენი მეგობრისათვის კარგი საჭმელია, რაკი კარტოფილს შემწვარ ხორცს ატანთ, მაგრამ რატომ არ იკითხავთ, იმათთვისაც კარგი საჭმელია, ვინც ყოველ დღე კარტოფილის მეტს არას სჭამს და მარტო კარტოფილით ირჩენს თავსა? შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ იმ მშობლების სულიერი ტანჯვა, ვისაც არ შეუძლიანთ თავიანთ ბალღებს სხვა რამ თბილი საჭმელი აჭამონ გაცივებულ ლორწოიან კარტოფილის გარდა. ამისთანა გაჭირვებული ხალხი კი, ერთი სკოლის (საქსონიაში) სტატისტიკური ანგარიშით, წელს 20% იქნება. ეხლა ყველგან ისეთ გაჭირვებასა და სიღარიბეს ვხედავთ, რომ ყველას ამ გაჭირვების მნახველს სწორედ გული უსკდება. ისეთი საშინელი ამბები ხდება ეხლა ჩვენში, რომ რაც უნდა გულ-ქვა კაცი იყოს, მაინც გულს აუშფოთებს და შიშის ზარს დასცემს. წელს თებერვალში კლერიკალურ გაზეთ «კელნერ ლოკალ ანცაიგერ»-ში ერთი ისეთი ამბავი წავიკითხე, რომ დღესაც კი რამდენიც მომაგონდება, იმდენი ტანში ჟრუანტელი დამივლის ხოლმე. აი რა ამბავი ეწერა კლერიკალურ გაზეთში. სოფლის სკოლის მასწავლებელმა თავის შაგირდებს შეატყობინა—ერთი თქვენი ამხანაგი გარდაიცვალა და თან დაატანა: «ეხლა ის ცაშიაო». მასწავლებელი შეეკითხა ბავშვებს: თქვენც ხომ არავის გინდათ, რომ «ცაში იყვნეთო». ერთმა პატარა, გაფითრებულმა და მილეულმა ბავშვმა თითი აიშვირა. მასწავლებელს დიდი ხანია შემჩნეული ჰქონდა, რომ ეს ბალღი წამებულივით იცქირებოდა; ბავშვის ძალზე გამხდარი სახე და ჩაცვივნული თვალები ძალა უნებურად მნახველის ყურადღებას იზიდავდა. «კარლ, შენც გინდა ცაში წახვიდე? რა გინდა იქ, რა მოგწონს საიქიოში?»—შეეკითხა მასწავლებელი. ბავშვმა უპასუხა: «იქ მშიერი მაინც აღარ ვიქნებიო».

ბებელი გაჩუმდა,—თავი დახარა. რეიხსტაგის დარბაზში და გალერეიებში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზი რომ გაფრენილიყო კაცი გაიგებდა. ამ სიჩუმეში კონსერვატორმა გრაფმა არნიმმა უცებ წამოიძახა: «იქნება მაგ ბავშვის მამა სულ ლოთობაში ჰფლანგავდა თავის ფულებს!» ერთი წამი კიდევ სიჩუმე იყო. მერე კი... საშინელი შფოთი ასტყდა, ამისთანა ამბავი დიდი ხანია არ მომხდარა გერმანიის რეიხსტაგში. სოციალ-დემოკრატები თავ-თავიანთ ადგილებიდან წამოცვივდნენ და მუქარით იქით მხარეს ეცნენ, საიდანაც ეს სამარცხვინო სიტყვები მოისმა. «ფუი! ფუი!» უყვირიან ყველა მემარცხენენი, ბებელი გაცხარებული იძახოდა: «რა სულმდაბალი კაცია! ერთი შეხედეთ, იცინის კიდეც!» რამდენსამე წამს დეპუტატები ძალზე აღელვებული იყვნენ. დამსწრე საზოგადოება აშფოთდა. ისეთი ხმაურობა იყო, რომ ორატორის ლაპარაკი აღარ ისმოდა.

როცა ბოლოს ყველანი დაწყნარდნენ, ბებელმა ისევ განაგრძო ლაპარაკი. ორატორი ირწმუნებოდა: «როცა ღმერთი ვისმე დასჯას მოინდომებს, ჯერ ორივ თვალით დაბრმავებსო. კანცლერი ბიულოვიც თავის უნებურად ერთგულ მოკავშირედ გაუხდა სოციალ-დემოკრატიას, თავის უნებურად ეხლანდელ წეს-წყობილებას ძირს უთხრის, ჩვენ მაინც ჯერობით ღარიბი ხალხი უნდა დავიხსნათ. არავის ნებას არ მივცემთ, რომ საწყალი ხალხი მებატონეების ხროს შესწორის მსხვერპლად, თუმცა ჩვენი დასისათვის ძლიერ სასარგებლოც იქნებოდა ეს საქმე, რადგანაც თავად აზნაურობის ხრო თითონ ითხრის სამარეს; მესაფლავედ გრაფი ბიულოვი ჰყავთ დაქირავებული (დეპუტატები აღელდნენ). სიმართლის სახელით, გერმანიის ერის სახელით, ჩვენ ვთხოულობთ, რომ ეგ უღვთო პროექტი გაჰქრეს, დაიღუპოს. დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ რაც უნდა ძლიერ ეცადნეთ, მაინც ნებას არ მოგცემთ, რომ თქვენი საზიზღარი სურვილი ასრულდეს» (მემარცხენენი მძლავრად ტაშს უკვრენ, ცენტრი კლერიკალები და მემარჯვენენი—კონსერვატორები უსტვენენ, მემარცხენენი ხელმეორედ მძლავრად უკრავენ ტაშსა).

ახალი ამბავი

◆ დღეს, 6 დეკემბერს, მისი უდიდებულესობის **ხელმწიფე იმპერატორის** ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძის სახელწოდების დღეს, საეკზარხოსო ეკკლესიაში სწირავს გორის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო კირიონი. წირვის შემდეგ იქნება გადახდილი სამადლობელი პარაკლისი.

◆ ჩვენ უკვე გვქონდა დაწვრილებით აღნიშნული სამეურნეო საზოგადოების საბჭოში აღძრული საკითხი მომავალ 1902 წელს **სამეურნეო გამოფენის** გამართვის შესახებ, რის განსახორციელებლადაც უნდა შემდგარიყო ამხანაგობა აგრონომის თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით; თავ. ანდრონიკაშვილს საბჭომ კიდეც მიანდო მასალის შეკრება იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნებოდა აღნიშნულ გამოფენის გამართვა. ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად 4 დეკემბერს სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდო-

---

ლად წოდებისა) ეკონომიურ კეთილდღეობას. როდესაც ყველა ეს გამოაშკარავდა ჩვენთვის, ეჭვს გარეშე შეიქმნა, რომ მთელის საზოგადოებისა, ანუ მთელი ინტელიგენციის საერთო მოქმედებას აქვს თავისი საზღვარი და აი ამ საზღვარის გამორკვევა იყო საჭირო. გარემოებამ და ცხოვრებამაც მიგვითითეს ამ საზღვარზე. და ეხლა ჩვენ მტკიცედ შევდექით იმაზედ, რომ მათი დაკავშირება არის საჭირო და შესაძლებელი, ვინც ეროვნულ ნიადაგზედ დემოკრატიას გაამტკიცებს. და ეს ჩვენი პირადი რწმენა და გამოცდილება უფრო თვალსაჩინოდ გვეჩვენა, დავუფიქრდით რა ამ უკანასკნელ ათის წლის ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას.

დღემდე ჩვენი საზოგადოება თითქმის ორ ბანაკად იყოფებოდა. ერთის მხრით „მესამე დასელები“, მეორე მხრით—დანარჩენი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელთაც „ნაციონალისტებს“ ანუ „პატრიოტებს“ უწოდებდნენ. ასე თუ ისე, ამგვარი დაყოფა ჩვენის საზოგადოებისა სინამდვილეს არ იყო მოკლებული, რადგანაც მართლაც და დიდად განირჩეოდნენ ერთი-ერთმანეთისაგან „მესამე დასელები“ და «ნაციონალისტები». ორივე ბანაკის აზრი განსაკუთრებულ ფარგალში ტრიალებდა. ერთის მხრით, ქალაქურ ხალხის ინტერესი, უარყოფა ეკონომიურ ცხოვრებასა და ლიტერატურაში ყველა იმისი, რაც ერთ გვარ მოძღვრებას არ ეწყობა, მიდგომილი, ხოლო თავისებურობას არ მოკლებული დაფასება ქართველ საზოგადო მოღვაწეობისა; შეიძლება არ დაეთანხმოთ „კვალს“ ბევრში, ხოლო მიუდგომელ კაცისათვის ცხადზედ უცხადესია, რომ „კვალს“ ხალხის სამსახურის განზრახვა ჰქონდა, რომ იგი მაინც, პროგრესიულ საქმეს ემსახურებოდა, რადგან ხალხს კითხვის და დაფიქრების ხალისი დაუბადა.

რას იცავდნენ, რას ჰქადაგებდნენ ჩვენი „ნაციონალისტები“? უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, მამულისადმი სიყვარულს, წარსულ ისტორიის გმირთა პატივისცემას. ამ მხრით ჩვენს ახალს პოეზიას დიდი სამსახური მიუძღვის ამ პატრიოტულ გრძნობების გაღვიძების საქმეში ჩვენს საზოგადოებაში. „ნაციონალისტები“ ხალხის კეთილ-დღეობაზედაც ზრუნავდნენ, ხოლო, რამდენადაც მტკიცენი და შეურყეველნი იყვნენ პატრიოტულ მოძღვრებაში, იმდენად სუსტნი ხალხის ინტერესების კითხვის დაცვაში. საგულისხმოა, ნახევარ საუკუნის განმავლობაში მოღვაწეობდნენ და სწერდნენ ჩვენი „ნაციონალისტები“, ხოლო ხალხი კი მაინც ვერ მიიზიდეს თავისკენ. რა მიზეზია? ჩვენი აზრით, ერთი ის, რომ ისინი ხალხს დაშორებულნი იყვნენ და არც სცდილობდნენ ხალხთან დაახლოვებას. საუკეთესო „ნაციონალისტთაგანი“ ილია ჭავჭავაძე უტოპიურ საერთო ეკონომიურ ზრუნვაში იყო და ეკონომიურ განხეთქილების მიზეზს არ ხედავდა საქართველოში არსებულ წყობილებაში*). ასე, რომ ხალხი, შეგნებული ნაწილი ამ ხალხისა არა ხედავდა «ნაციონალისტებში“ თავისს მოსარჩლეებს. წარსულის მოგონება და გმირთა თაყვანის ცემა ვერ აკმაყოფილებდა მას, რადგან ცხოვრება გაუჭირდა და გაუმწვავდა. რასაც აწოდებდნენ, მის ფანტაზიას აღელვებდა, ხოლო კუჭს ვერ აძღობდა. ეს იყო მიზეზი ხალხის დაშორებისა. ამას ისიც მიუმატეთ, რომ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში „ივერია“, რომელიც იმ თავითვე ჩვენებურ ნაციონალიზმის გამომსახველი იყო, ძალიან ჩამორჩა საზოგადოებრივ მიმდინარეობას, ჩასთვლიმა და დადუმდა და იმის ფურცლებზე არც ავი ისმოდა, არც კარგი.

ამ გაზეთის განახლებულმა რედაქციამ (ეს განახლება ერთის თვის წინად მოხდა) ახალი არა შემოიტანა-რა. მან ვერც ერთი იმგვარი ნიშანი ვერ გვიჩვენა, რომ შეგვეძლოს თქმა, „ივერია“ ახალ გზაზე გამოდის და იმ ნაკლის შევსებას შეუდგება, რომელიც ჩვენს ძველებურ „ნაციონალიზმს“ ამჩნევია. პირიქით, ამ რედაქციამ იმისთანა წერილებს მისცა ადგილი თავის ფურცელზე, რომ თვალსაჩინოდ დაგვანახვა მისი თვალთა ხედვის ისარი წარსულისაკენ არის მიმართული და არა მომავალისაკენ**).

ასე რომ თუ „კვალს“ ჰქონდა ცალმხრივი დემოკრატიზმის ხასიათი, „ივერია“-ს არა ნაკლები ცალმხრივი პატრიოტიზმის დაღი ემჩნევოდა. და აი თვითონ ჩვენმა ცხოვრებამ დააყენა გასარკვევად მესამე კითხვა—ხალხისა და ეროვნების, დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის დაკავშირება იყო საჭირო. და აი სწორედ ამ კითხვის გარკვევამ წარმოშობა ახალი ჯგუფი, ახალი პარტია, რომელიც ამ უკანასკნელ 5—6 წლის განმავლობაში ნელ-ნელა და თან-და-თან იხატავდა თავის პიროვნებას. ამ ჯგუფს ჯერ თავისი ორგანო არა ჰქონდა. იგი შემთხვევით იხიზნებოდა ხან „ივერიის“ რედაქციაში, ხან „ნოვოე ობოზრენ.“-საში. რამდენიმე წლის განმავლობაში ახალი მიმართულება ნელ-ნელა ფეხებს იკეთებდა, ხორცს ისხამდა, იზრდებოდა და მწიფდებოდა. ნელ ნელა ირკვეოდა „ნაციონალისტთა“ ბანაკის დაყოფის და დემოკრატიზმის და ეროვნების დაქორწინების საჭიროება. და აი დღეს იმდენად დამწიფდა ეს ახალი მოვლენა, იმდენად დავაჟკაცდა ეს ახალი ჯგუფი, რომ მანაც დაიჭირა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილი და შეძლებისამებრ სცდილობს გააფართოვოს თავის მოქმედების ასპარეზი. ამ ჯგუფის შემუშავება დღესაც არ დამთავრებულა, ხოლო ეჭვს გარეშეა, რომ ამ ჯგუფის საჯაროდ გამოსვლაში იმალება მიზეზი ქართველ საზოგადოების აღელვებისა, მის წევრების ერთმანეთთან გადამტერებისა და ჩხუბისა, რადგან, საუბედუროდ, არც ერთი საზოგადოებრივი ცვლილება არ მოხდება ხოლმე ისე, რომ ვინმეს რამე არ ეწყინოს, ვინმეს რამე არ ეუცხოვოს, ვინმე რამეზე არ გაგულისდეს. ვინც ამას არა ხედავს, ორში ერთია, ან არაფრის დანახვა არ შეუძლია, ან თავისი პირადი ინტერესების მეტს არას ხედავს საზოგადოებრივ მოძრაობაში.

II

ყველა ეს ერთი უმთავრესი მხარეა კითხვისა. აქ უნდა ვეძებდეთ იმის ახსნას, თუ რა ხდება ამ ჟამად ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენი საზოგადოების სამ ჯგუფად დაყოფა არავისთვის არ უნდა იყოს დასამალი. ამ ჯგუფებში იხატება და თან-და-თან უფრო კარგად გამოიხატება ქართულ საზოგადოების სხვა-და-სხვა ნაწილების აზრი და გრძნობა. ვინც ამ ჩვენი ცხოვრების ფაქტს უარ-ჰყოფს, იმას თვით ცხოვრება უარ-ჰყოფს, რადგან ჩვენს დროში ზოგადის აზრებით და გულწრფელის ბურუსიან განზრახვებით კაცი ფონს ვერ გავა, საჭიროა ნათელის, განსაზღვრული გზით სიარული. მაშასადამე, თუ ჩვენმა ცხოვრებამ

---

*) „დიდი შეცდომა იქნება, ამბობდა ჭავჭავაძე, წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზი თვითონ წოდებათა წყობას, მის შინაგანს არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედან წარმომდგარ მიდრეკილებას მივაწეროთ. ამის მიზეზი იგივეა, რაც თვითეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდაო». „ივერია“ № 8 1878.

**) იხ. ჩიორას წერილი „მე საზოგადოთ არც ერთი საკვირაო სასწავლებელი არა მქონია მხედველობაშიო, ამბობს ჩიორა, და დავწერე რა, რომ «საკვირაო სასწავლებლის მოსწავლენი“ მოვიდნენ მეთქი კრებაზე, ამით მინდოდა აღმენიშნა ის ხარისხი განათლებისა, რომელზედაც სდგას მესამე დასის წევრთა უმრავლესობაო“. ამგვარი იყო და არის ჩვეულებრივი არგუმენტი ყველა მათი, ვისაც აშინებს და ვინც წინააღმდეგია ხალხის გარევისა ჩვენს საზოგადო საქმეებში.

მა ჰქონდა საზოგადოების საბჭოს. თავ. ანდრონიკაშვილს სამსახურის საქმეებისა გამო ამ საქმის მეთაურობაზე უარი განუცხადებია; რაც შეეხება სხვა სპეციალისტებს, ისინიც იმდენად მოქანცულან წლევანდელ საიუბილეო გამოფენის გამართვის დროს, რომ ვეღარც-ერთი ვერ კისრულობს მომავალ წელს გამოფენის გამართვის მეთაურობას; ამასთანავე დაახლოვებული ანგარიშით გამოფენის გამართვა საზოგადოებას დაუჯდება 36,000 მან., რომელი ფული არც საზოგადოებას აქვს ამ საქმისათვის და ვერც ამხანაგობის შედგენით შეეძლოთ გამოეღოთ, რადგანაც ნაკლებად გამოჩენილან მსურველნი ამხანაგობაში მონაწილეობის მიღებისა. საბჭომ აგრეთვე მიიღო სახეში, რომ გამოფენის გამართვა მეტად მძიმე და რთული საქმეა და აღნიშნულ პირობებში მისი უნაკლულოდ შესრულება ყოვლად შეუძლებელია და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უარი უნდა ჰყონ საბჭოში აღძრულ წინადადებაზე მომავალ წელს გამოფენის გამართვის შესახებ. ამის გამო საბჭომ გარდასწყვიტა: შეწყვეტილ იქმნეს კავკასიის გამოფენა და გაიყიდოს ყველა შენობები და ხის მასალა, რომლითაც მცირედაც იქნეს შეიმსუბუქონ ის 24,000 მან. ზარალი, რომელიც წელს მოუვიდათ გამოფენის გამართვით; გამოფენის ყველა საქმეების სალიკვიდაციოდ საბჭომ ამოირჩია განსაკუთრებული კომისია, რომლის წევრებადაც არჩეულ იქმნენ: თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, პ. ი. ყიფიანი და ა. ბ. ევანგულოვი. რადგანაც ტფილისის საბაღოსნო სკოლას ადგილი სჭირდება მოსწავლეთა საცდელ სამუშევრებისათვის, საბჭოს გარდაწყვეტილებით გამოფენის ტერიტორია ყველა შენობებისა და მოწყობილებათაგან უნდა გაიწმინდოს 20 დეკემბრამდე.

✦ **უმაღლესად ნაბოძები ფული** ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა საგანგებო კომისიამ ასე გაანაწილა:

1) 7550 მან. უნდა მოხმარდეს უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ ვაჟთა და ქალთ; ეს ფული ასე უნდა განაწილდეს: ვაჟებისათვის უნდა დაარსდეს: 5 სრული სტიპენდია ოთხას-ოთხასი მანეთისა (სულ 2000 მ.), 8 ნახევრიანი სტიპენდია ორას-ორასი მანეთისა (სულ 1600 მ.), 25 შემწეობა სწავლის ფულის გადასახდელად ას-ასი მანეთისა (სულ 2500 მ.); ქალებისათვის: 2 სრული სტიპენდია ხუთას-ხუთასი მანეთისა (სულ 1000 მ.), ერთიც ნახევრიანი 250 მანეთისა და ერთიც შემწეობა 200 მანეთისა (სულ 450 მ.).

2) 7450 მან. უნდა მოხმარდეს საშუალო სასწავლებლებში მყოფ ვაჟთა და ქალთ. ეს ფული ასე უნდა განაწილდეს: ვაჟებისათვის უნდა დაარსდეს: 10 სრული სტიპენდია სამას-სამასი მანეთისა (სულ 3000 მან.), 11—ნახევრიანი ორას-ორასი მან. (სულ 2200 მ.), 20 შემწეობა სწავლის ფულის გადასახდელად სამოც-სამოცი მანეთისა (სულ 1200 მ.); ქალებისათვის: 15 შემწეობა სწავლის ფულის გადასახდელად 70 მან. თითო (სულ 1050 მ.).

3) 5000 მან. უნდა მოხმარდეს ქალთა და ვაჟთა მომზადებას საშუალო სასწავლებელში მისაბარებლად; აქედან ვაჟთათვის 10 სრული სტიპენდია სამას-სამასი მანეთისა (სულ 3000 მ.) და 10 შემწეობა ას-ასი მანეთისა (სულ 1000 მ.); ქალთათვის—10 შემწეობა ას-ასი მანეთისა (სულ 1000 მ.).

ამ რიგად სულ 128 პავშვს მიეცემა სტიპენდია-შემწეობა.

ეს დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინება ტფ. გუბ. თავად-აზნართა საგანგებო კრებას.

✦ როგორც ჩვენ გვატყობინებენ, უმთავრესს საექსპერტო კომისიას **დაუჯილდოებია** სხვა-და-სხვა ჯილდოთი ორი მესამედი ექსპონენტებისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს გამოფენაში.

✦ ტფილისში კერძო ცნობებით შეუტყვიათ, რომ **საქართველოს ახალი ექსარხოსი**, არქიეპისკოპოსი ალექსი, ქალაქში ჩამობრძანდება შობის დღესასწაულების შემდეგ.

✦ მომავალი წლის 2 თებერვლისთვის არის დანიშნული ვადა, რომელზედაც უნდა წარმოადგინონ ნახატი **პროექტები ქალაქის სახალხო თეატრისა**, რომელიც უნდა აშენდეს განსვენებულ ზუბალაშვილისაგან ნაანდერძევის ფულით. საუკეთესო პროექტისათვის ჯილდოდ ზუბალაშვილის მემკვიდრეთაგან გადადებულია 500 მ., მეორე ხარისხის პროექტებისათვის—300 მ. ნახატი პროექტების წარმოდგენის შემდეგ შემუშავდება დაწვრილებით გეგმა თეტრისა, რომლის დამტკიცების შემდეგვე მიჰყოფენ ხელს თეატრის შენებას.

✦ ქალაქის გამგეობის 4 დეკემბრის სხდომაზე ქალაქის მოურავის მოადგილემ განაცხადა, რომ 8 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე გარდაცვალებულ ქალაქის მოურავის ევანგულოვისა, გამგეობის წევრის ე. ხოსროევის და გამგეობის წევრებად ნამყოფთა: თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, ქ. ვერმიშევისა და აპ. ივანენკოსი; საქმის გარჩევის დროს მოწმეებად დაბარებულია მთელი გამგეობა და როგორ მოვიქცეთ საქმის გარჩევის დროს—**შევწყვიტოთ გამგეობის მუშაობა თუ არა.** გამგეობამ დაადგინა დაევალოს ქალაქის მოურავის მოადგილეს სთხოვოს სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარეს, რომელმაც თუ შესაძლებლად დაინახოს, საქმის გარჩევის დროს გამგეობაში ერთი წევრი მაინც დარჩეს, კასირი ანუ მისი თანაშემწე და უფროსი ბუღალტერი ან თანაშემწე. თუ პალატის თავმჯდომარე შესაძლებლად დაინახავს გამგეობის თხოვნის ასრულებას, მაშინ არ უნდა იქმნეს შეწყვეტილი მუშაობა ქალაქის გამგეობაში.

✦ ამავე სხდომაზე გამგეობამ განიხილა მოხსენება ე. ხოსროევისა იმის შესახებ, თუ რა შემოსავალი აქვს ნ. ი. თამამშევისაგან დაარსებულ „**შრომის ბიურო**“-ს. გამგეობამ დაადგინა, ვიდრე საბოლოოდ გადაწყდებოდეს ბიუროს ქალაქის სახელზე გადმოტანის საქმე, მიენდოს გამგეობის წევრს დაწვრილებით ხარჯთ-აღრიცხვა და განსაკუთრებული მოხსენება წარუდგინოს გამგეობას ამ საქმის შესახებ.

✦ რადგანაც პარასკევს, 7 დეკემბერს, დანიშნულია საბჭოს კრება და თუ ამ კრებაზე არ შეიკრიბებიან ყველა ხმოსნები, მაშინ ყველა საქმეები უნდა გადაეცეს საგუბერნიო სასამართლოს გასარჩევად,—ამისთვის ქალაქის თავის მოადგილე სთხოვს ხმოსნებს, უსათუოდ დაესწრნენ კრებას 7 დეკემბერს.

✦ ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიის ცნობილს მოღვაწეს მღ. თამარაშვილს რომიდან გამოუგზავნია თვისი **თხზულება ქართველ კათოლიკების შესახებ** ერთის პირისათვის, რომელსაც განზრახვა აქვს ახლო მომავალში გამოსცეს ეს წიგნი.

✦ დღეს, 6 დეკემბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია **საბენეფისო წარმოდგენა** ქ-ნ **კარგარეთლისა**. ითამაშებენ ბ. აბნაზაროვის თარგმნილს ზუდერმანის ოთხმოქმედებიან კომედიას „პატიოსნება“-ს და ერთ-მოქმედებიან ვოდევილს «ადვოკატთან“.

✦ გუშინ კუგლერის სადურგლო ქარხნის გამგეობამ **დაითხოვა** ქარხანაში ყველა მომუშავენი (15 კაცი) იმის გამო, რომ მათ უთხოვნიათ $10^{1}/_{2}$ საათის მაგიერ დაწესებული 10 საათი გვამუშავეთო.

✦ ბერლინში დაარსდა ახალი საზოგადოება „**მარგან სინდიკატ გეს**“, რომელსაც მიზნად აქვს, შუამავლობა გასწიოს ქუთაისის გუბერნიის მარგანეცის მადნეულობის გასყიდვაში.

✦ ქუთაისის რეალურ სასწავლებლის **დირექტორი ბ. მამონტოვი** და პიატიგორსკის პროგიმნაზიის დირექტორი **ბ. კოლენკო** გადაყვანილ იქმნენ ერთი მეორის ადგილზე.

✦ 4 დეკემბრის სხდომაზე ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიის 11 ოქტომბრის დადგენილება ქალაქის სასწავლებლებისათვის **მასწავლებელ ქალთა ამორჩევის** შესახებ. როგორც გვქონდა აღნიშნული, მასწავლებლებად არჩეულ იქმნენ: ქ-ნი ნ. ოგანოვისა, ე. სედოვისა, ს. გალუმოვისა, ე. მახათაძისა, ე. შიუკოვისა, ე. პეტროვისა და ე. ოტერ-ნიკოგოსოვისა. გამგეობამ დაამტკიცა კომისიის დადგენილება.

✦ კომერციული სასწავლებლის სამზრუნველო რჩევას გადაუწყვეტია, გაგზავნოს ერთი ამ სკოლის მასწავლებელი პეტერბურგს, სადაც უნდა მოხდეს ყრილობა **ბუნების-მეტყველთა და ექიმებისა**, რომელიც გასტანს 20-დან 30-დე დეკემბრისა. აქ, სხვა-და-სხვა სამეცნიერო მოხსენების გარდა, იქმნება გამოფენაც სამეცნიერო საგნებისა.

✦ ამას წინად ი. დ. ბაქრაძემ სთხოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს—მიეცათ მისთვის ნება, რომ მას განეგრძო გამოფენის ტერიტორიაზე გამართულ **თვით-მოძრავ სურათების** მოქმედება ხალხის გასართობად. 4 დეკემბრის სხდომაზე საბჭომ ნება დართო ბაქრაძეს იმ პირობით, რომ მან ტფილისის საბაღოსნო სკოლის სასარგებლოდ უნდა გარდაიხადოს მთელის შემოსავლის ათი პროცენტი.

✦ გუშინდელს საგუბერნიო საქალაქო საკრებულოს სხდომაზე, სხვათა შორის, და-

---

წარმოშობა სხვა-და-სხვა ჯგუფები, ამ ჯგუფების ურთიერთობაზეა დაფუძნებული საზოგადოებრივ ბრძოლის ხასიათი და არა ძველი და ახალი თაობის დამოკიდებულებაზე. საკვირველია, ჩვენს ლიტერატურაში დღემდე ის აზრი ტრიალებს, ვითომ ცხოვრებაში თაობათა (ძველი და ახალის) შეტაკება ხდება და არა სხვა-და-სხვა ცხოვრების მიმდინარეობისა, პრინციპებისა. მესამოცე წლებში მართლაც ძველი და ახალი თაობის შეტაკება იყო ჩვენში. მაშინ წოდებრივი წყობილება ჯერ კიდევ ძალაში იყო. სამოღვაწეო ასპარეზზე თითქმის მარტო თავად-აზნაურების წარმომადგენელნი იყვნენ გამოსულნი. ეს იყო ახალგაზრდობა, გამსჭვალული გლეხების გამანთავისუფლებელ აზრებით. ეს ის შვილები იყვნენ, რომელთაც თავიანთ მამების წინააღმდეგ გაილაშქრეს, რადგან მათი მამები ძველი წესის კაცები იყვნენ, რადგან ისინი წინააღმდეგნი იყვნენ ყმების განთავისუფლებისა და მოქალაქობრივ ცხოვრების გამტკიცებისა. ამ ოცდაათი წლის განმავლობაში დიდი ცვლილება მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. გლეხი განთავისუფლდა, გაჩნდა ვაჭრობა, მრეწველობა, ერთი ნაწილი ჩვენი ხალხისა ქალაქებს მიაწყდა, თავად-აზნაურობა გაღარიბდა, სამოღვაწეო ასპარეზზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, სხვა-და-სხვა წოდების და სხვა და-სხვა კლასების წარმომადგენელნი დამყარდნენ. შეირყა და შეინძრა ერთგვარობა და ერთფეროვანება ქართულ ცხოვრებისა. ყველა ამისაგან თან-დათან გამოისახა ჯგუფები. და აი ჩვენი დროის ნიშანწყალი პარტიათა ურთიერთობაა—კამათობა, ბრძოლა, გარემოების მიხედვით დაკავშირება და დაახლოვება. ამნაირია ხასიათი ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებისა: მის სულს შეადგენს პრინციპთა (უკეთ ვსთქვათ, უნდა შეადგენდეს) **და ინტერესთა** შეტაკება და არა თაობათა, მამათა და შვილთა. ჩვენ დროში არა ერთი და ორი ჭაღარა გარეული კაცი ემსახურება ხალხს და აგრეთვე არა ერთი და ორი ჭაბუკი ეამბორება და ეალერსება ძველ წესს. თაობათა შეტაკების მცნება ჩვენს დროში უშინაარსო მცნებაა. იგი აღარას გვეუბნება მოქმედების ხასიათზე და მიდრეკილებაზე. თანამედროვე ცხოვრების რთულ პირობებში აღმოცენდა რთული საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციის გამომსახველი იდეოლოგიაც რთული უნდა იყოს.

მაშ, თუ ამ გვარია ჩვენი ცხოვრების ხასიათი, ყოველივე, რაც აქედან გამომდინარეობს, არ უნდა გვავიწყდებოდეს. რაკი ჩვენში გამტკიცდნენ სხვა-და-სხვა პარტიები, მათ, თვითოეულს ცალკე, ჰსურთ გავლენის მოპოვება ცხოვრებაში და მოქმედების ფარგალის გაფართოვება. წინად მთელი ჩვენი საზოგადო საქმე „ნაციონალისტთა“ ხელში იყო. ისინი უძღვებოდნენ მათ. და ამ საქმეების გაძღოლაში ამაგიც მიუძღვით, რადგან თეატრია, წ. კ. საზოგადოება თუ პრესსა, ყველა ეს მათი ღვიძლი შვილებია. ეჭვი არ არის, რომ როცა ჩვენს ცხოვრებაში შესდგა ახალი ჯგუფი „კვალისტებისა“, ამ ახალ და ძველ ჯგუფთა შორის შეტაკება თითქმის აუცილებელი იყო. ეს შეტაკება ჯერ ჟურნალ-გაზეთობაში გამოისახა, მერე პრაქტიკულ ცხოვრებაშიაც, რადგან გამაგრებულმა ახალმა ჯგუფმა პრაქტიკულ საქმეებში გარევის სურვილი აღმოაჩინა. ეს მათი უფლება იყო, რადგან მათ უნდოდათ სამსახური თავიანთ რწმენისამებრ. და თუ კი ეს ასეა, და თუ ვერავინ ვერ წაართმევს ამ ორ დასს, ორ პარტიას მოქმედების უფლებას, ეს უფლება რატომ უნდა წაერთვას ჩვენს ჯგუფს, ჩვენს თანამოაზრე კაცებს? რატომ ერთს უნდა ჰქონდეს ეს უფლება, მეორეს კი არა? ჩვენმა ცხოვრებამ ფეხზე წამოაყენა ახალი მოვლენა, რომელსაც დაკვირვება და არა უარ-ჰყოფა სჭირია. ჰო, ვიცი, თქვენ გეუცხოვათ ერთი ჩვენი საშინელი საქციელი. თქვენი გეგონეთ, და როგორ გავბედეთ, თქვენდა სასირცხვილოდ, „კვალისტებისათვის“ ხელი გაგვეწოდა? საქმე სწორედ მაგაშია, რომ თქვენ სცდებოდით. თუ წინ ამას არა ჰხედავდით, ეხლა დაინახეთ, რადგან ჩვენ ხელი გაუწოდეთ იმათ, ვისთვისაც თქვენ თქვენს ფრჩხილს დაიშურებთ. თუ არ იცოდით, ეხლა გაიგეთ, რომ ჩვენ გვსურს ბოლო მოუღოთ ჩვენს საზოგადოებაში დამყარებულ პირად გადამტერებას, სექტიურ მიდგომილობას ღ შეუწყნარებლობას. ჩვენი მიზანი ნათელია—ხალხი ღ ეროვნება. ვინც ხალხს ღ ეროვნებას ემსახურება, ის ჩვენია, იმას ხელს შეუწყობთ, დახმარებას მივცემთ. და ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვცნობთ, რომ ესა თუ ის ჯგუფი არ ეწინააღმდეგება ჩვენს პრინციპს, ჩვენი მათთან დაკავშირება მიუცილებელი იქნება—წ. კ. საზოგადოების საქმეა იგი, ბანკისა, თუ საქალაქო არჩევნებისა. *)

ჩვენ ნიადაგ ვიყავით და ვიქნებით იმისი მტერი, ვისაც ეროვნულ ვინაობის დაცვა არაფრად მიაჩნია, მხოლოდ არა ნაკლები მტერი ვართ ყველა იმათი, ვისაც კერძო ანუ წოდებრივი ინტერესების მოსარჩლეობა ეროვნების მოსარჩლეობად მიაჩნია. რაკი ერთხელ ამ ნიადაგზე დავდექით, ჩვენ არც მარცხნივ დახევა გვესაჭიროება, არც მარჯვნივ ამოხვევა.

როცა „კვალი“ ამბობდა (იხ. № 47), რომ მას ძრიელ მცირე იმედი აქვს, რომ ჩვენი ჯგუფი მარცხნივ დაიწევს, კარგად ესმოდა, რასაც ამბობდა. „კვალი“ დარწმუნებულია, რომ ჩვენ ეროვნულ ნიადაგიდან არ დავინძრევით (და თუ არ არის ამაში დარწმუნებული, მომავალი დაარწმუნებს). ხოლო, როდესაც „ივერია“ არწმუნებდა (იხ. № 256), თავის მკითხველებს, რომ ჩვენ „ჭუჭყიან დროშის ქვეშ“ ამოვდექით, ორში ერთია, ან მან კარგად ვერ ასწონა ამ სიტყვების შეურაცყოფის სიმძიმე, ან კიდევ გაბრაზებისაგან ღონე მიხდილი თავის თავს ანგარიშს არ აძლევდა. ორივე შემთხვევაში ის პასუხის მგებელია საზოგადოების წინაშე, რომელიც მსაჯულია ჩვენი ყველასი, ვინც ვართ. მომავალი დაგვანახვებს, საითკენ დაიხრება სამართალის სასწორი.

არჩილ ჯორჯაძე.

---

*) ბევრს არ ესმის, როგორ მოხდა, რომ მე «ოპოზიციის„ წინააღმდეგი წერილი დავბეჭდე „ცნ. ფურც.“ და „ოპოზიციასთან» ერთად კი ვმოქმედებდი, ამის შესახებ უნდა ვსთქვა: 1) რაიც შეეხება ჩემ აზრს ოპოზიციაზე, მე როგორ წინად, ეხლაც ვამბობ, რომ იგი ერთობ სუსტი და მოუმზადებელი იყო. ამის თქმას მოითხოვდა სიმართლე და თვით ოპოზიციის ინტერესი, რადგან შეცდომების აღიარება და ნაკლულევანების შესწორება ოპოზიციის სისაღის ნიშანი იქნებოდა. 2) ჩვენს ჯგუფს არა ჰქონდა მიზნად, რაც გახდეს-გახდეს, ჩვენი კაცების გაყვანა „გამგეობაში». რაკი პირველს კრებაზე არ მოხდა ჩვენი შეთანხმება „მესამე დასელებთან», ჩვენ დამოუკიდებელი მოქმედება გადავწყვიტეთ, ე. ი. ჩვენს კანდიდატებს არ ვაყენებდით და უარიც ვსთქვით, როცა ზოგიერთი ჩვენთაგანი იყო დასახელებული ყუთის დასადგმელად. ჩვენი დამოუკიდებელი მოქმედება იმაში გამოისახებოდა, რომ «მესამე დასელებში» ორი კაცის გარდა, დანარჩენებს ყველას შავი ჩაუგდეთ, ხოლო ძველ გამგეობის წევრთაგანს მხოლოდ რამდენიმე კაცს ჩაუგდეთ თეთრი კენჭი. ყველა ამის შემდეგ, როდესაც შემდეგს კრებებზე გამოჩნდა ოთხი თავისუფალი კანდიდატურა (გოგებაშვილმა უარი განაცხადა) და როდესაც ჩვენი შეთანხმება მოხდა „კვალელებთან“, ჩვენმა ჯგუფმა წამოაყენა თავიანთი კანდიდატები და ერთ „კვალელსაც“ თეთრი კენჭი მისცა. ამგვარი იყო უტყუარი ტაქტიკა ჩვენი ჯგუფისა. თუ რამე არის ყველა ამაში სასირცხვილო, საზოგადოებამ განგვსაჯოს. 3) ჩვენი ჯგუფი არასოდეს არ უყურებდა წ. კ. საზოგადოებაში მოქმედებას, როგორც უკანასკნელ მიზანს, ხოლო ჰფიქრობდა, რომ თუ მოგვიხდეს იქ მოღვაწეობა, ისევ ერთად ვიყვნეთ, რადგან შეთანხმებულებთან უფრო ადვილათ წაიყვანთ საქმეს, ვიდრე შეუთანხმებელთან.

ადგინეს: დამტკიცდეს საბჭოს გარდაწყვეტილება შესახებ **ხორცის ხარისხებად დაყოფისა** და ამ საქმეზე სავალდებულო დადგენილებათა.

◆ ინჟინერმა პოლკოვნიკმა რაზუმოვმა მიმართა თხოვნით ქალაქის მართველობას, რომ მას მისცენ თავისუფალი ადგილი **ქალაქის ინჟინერისა.**

◆ გუშინ ქალაქის თავის მოადგილემ ბ. შესტაკოვმა დაათვალიერა ხორცის დუქნები პირველ საპოლიციო უბანში და შენიშნა, რომ უმეტეს ნაწილად დუქნებში არა აქვთ ბ. გუბერნატორისაგან ხორცზე **დამტკიცებული ნიხრი**, ამიტომ განკარგულება მოახდინა, რომ ყველა დუქნებს უეჭველად ჰქონდეთ თვალსაჩინო ალაგს გამოკიდებული დამტკიცებული ნიხრი.

◆ ქ. გორის ახლად დაარსებულ კერძო სამკურნალოში დანიშნული იქმნა ექიმად სტეფანე ივანეს ძე **ბარამიძე.**

◆ როგორც გვატყობინებენ, ველისციხის ორ-კლასიან სასწავლებლის მოსწავლეთა შორის გავრცელებულა **ქუნთრუშა.** ავად გამხდარა 15 მოსწავლე. მათგან ერთი გარდაცვლილა კიდეც.

◆ 5 დეკემბერს, დილის 3 საათზე, პოლიციის მე-8 ნაწილში, ციციშვილის აღმართზე ნახეს, **მოკლული კაცის გვამი** რომელსაც რამდენიმე ალაგას აქვს თურმე ჭრილობა. გარდაცვალებულის გვამი, ნახვისათანავე გაგზავნეს მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში. როგორც გამოძიებით გამოირკვა, მოკლული ყოფილა მეტეხის ციხის ზედამხედველი იოსებ სერიდენკო, მაგრამ ჯერ დანამდვილებით ვერ გაუგიათ—ვის და ან რა მიზეზების გამო ჩაუდენია ეს საქმე. გამოძიება სწარმოებს.

◆ სადაც ჯერ არს, აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ შეიცვალოს **გარდასახადის დადგენილება თათრებზე**, რომლებიც სამხედრო ბეგარას იხდიან.

◆ როგორც ჰფიქრობენ, ტფილისში **საგაჭრო სკოლის** გახსნა უნდა მოხდეს 1 სექტემბერს მომავალის წლისა. ამ ჟამად ვაჭართა საზოგადო კრებაზე, რომელიც 16 დეკემბერს უნდა მოხდეს, აღძრულ იქმნება კითხვა იმაზე, რომ ამოირჩიონ ამ სკოლის სამზრუნველო რჩევის წევრები.

◆ ტფილისის ხელოვნების სასწავლებლის გამგემ ბ. კანდურალოვმა წარუდგინა ქალაქის თავის მოადგილეს **სასწავლებლის წესდების პროექტის პირი;** ნამდვილი კი წარდგენილია ბ. კავკასიის მთავარ-მართებელთან.

◆ გუშინ-წინ, პირველის ნახევარზე, მამადავითის მოედანზე მოხდა **შემაძრწუნებელი ამბავი:** ძალზე მთვრალ პოლიციელ კორჩაგინს ჩხუბი მოუვიდა ორ რუსთან, რომელნიც ხალიჩებს ჰყიდდენ. კორჩაგინს მიეშველა მეორე მორიგი პოლიციელი, რომელიც მის გამოსაცვლელად მიდიოდა, და ეს ორი რუსი პოლიციის ნაწილისაკენ წაიყვანეს. არ გადაუდგამთ რამდენიმე ნაბიჯი, რომ მამა-დავითის სკოლასთან კორჩაგინმა სრულებით მოულოდნელად და უმიზეზოდ მოიმარჯვა ხმლის ქარქაში და თავში დასთხლიშა ერთ რუსს და თავი გაუტეხა. დაჭრილი დაბარბაცდა და, რომ არ მიშველებოდნენ, უთუოდ წაიქცეოდა. ამ დროს მოვიდა უბნის ზედამხედველი ზუბრიცკი და თავი შეუხვია დაშავებულს შესახვევი მასალა სკოლის უფროსმა ბ. ადნიაშვილმა [illegible]. მთვრალი პოლიციელი ზუბრიცკიმ გაგზავნა პოლიციის ნაწილში და უბრძანა იარაღი აეხადნათ და დაეტუსაღებინათ. საკვირველი ის არის, რომ ნაცემმა და თავგატეხილმა რუსმა არ ინდომა პოლიციაში წასვლა—ჩვენ, რუსები, ამისთანაებს ადვილად ავიტანთო. არც უბნის ზედამხედველს დაუტანებია ძალა, თუმცა სთქვა, რომ ამ საქმეს თავს არ დავანებებ და კანონიერ მსვლელობას მივცემო. აღსანიშნავია, რომ კორჩაგინი მორიგობიდან გადაყენებული იყო და მაშასადამე სამსახურს არ ასრულებდა.

◆ ოლქის სასამართლოს ანნა აბულაძისათვის სიყალბის ჩადენისა გამო გარდაუწყვეტია ზოგიერთ ღირსებათა ჩამორთმევა და 8 თვით ციხეში დაპატიმრება. აბულაძისას ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელმაც საქმე განიხილა 4 დეკემბერს, უდანაშაულოდ იცნო ბრალდებული და გაამართლა იგი.

◆ 5 დეკემბერს, ტფილისის სადგურზე, როდესაც მეისრე ტიმოთე ფედოტოვი თავის ალაგს იდგა და მარცხენა ხელით ისრის ჩანგალი ეჭირა, ამ დროს მომავალი ვაგონის-პლატფორმის ფრთა მოხვდა მარცხენა ხელში, რამაც ძალზე დაუშავა იგი. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ნავთლუღიდან გვატყობინებენ, რომ 3 დეკემბერს თავის გაუფრთხილებლობის გამო ყარსის მატარებლის ქვეშ ჩავარდა უბილეთო მგზავრი, ს. არხლის მცხოვრები, ბორჩალოს მაზრისა—მახმედ მუსტაფა-ოღლი, რომელსაც მარცხენა ფეხზე გადაუარეს თვლებმა.

რუსეთის ქრონიკა

∝ რუსეთის საკრედიტო საზოგადოებათა კრების ანგარიშიდან სჩანს, რომ მთელის რუსეთის მემამულეთ 1900 წლისათვის 1.351,518,884 მანათი ვალი ჰქონიათ მიწისა; ყველა საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებული ყოფილა 43.507,745 დესეტინა მიწა; უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში მემამულეთ მომატებიათ 307 მილ. მან. ვალი. 14 სააქციონერო საადგილ-მამულო ბანკს 1900 წელს მოუგია—12.045,384 მან.

∝ ზურმუხტის მადნების მეპატრონეთ შემოუღიათ რენტგენის სხივებით მუშების განათება იმის აღმოსაჩენად, ხომ არ გადაუყლაპავს მუშას ზურმუხტიო. ახლა შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია—ამგვარ საშუალებას მადნების პატრონები ნუ მიმართავენ, რადგან გამოუცდელ ექიმის ხელში რენტგენის სხივის ხმარება ვნებას მოუტანს მუშის ჯანმთელობასაო.

∝ ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო, რომ ერთის წლის განმავლობაში საზღვარ გარეთიდან მემამულეების მიერ უბაჟოდ იქმნას გამოწერილი სეტყვიან ღრუბლის გამფანტავი მორტირებიო.

∝ განზრახულია ახლო მომავალში მოახდინონ პეტერბურგში რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა საერთო კრება. ამ კრების მომწყობი კომიტეტი 12 დეკემბერს იწყებს მუშაობას.

∝ საერო განათლების მინისტრის ნებართვით, ხარკოვის უნივერსიტეტში 25 ნოემბერს გაიხსნა სტუდენტების სალიტერატურო და საისტორიო საზოგადოება.

∝ მიწად-მოქმედების სამინისტროს გარდაუწყვეტია ბეჯითად განიხილოს საყურადღებო საკითხი სარწყავ წყალით სარგებლობის შესახებ. ამის აღსასრულებლად სამინისტროსთან არსდება საგანგებო კომისია.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

3 დეკემბრის სხდომაზე ქუთაისის საბჭოს ძალა-უნებურად მოუხდა ძველი გამგეობის (1898 წლის) მოქმედების შესახებ სარევიზიო კომისიის მოხსენების ბოლომდის მოსმენა. მართლაც, საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ქუთაისის ქალაქის საბჭოს ეხლანდელი განწყობილება ძველი გამგეობის მოქმედების შესახებ: რომ ადმინისტრაციას არ დაესწრო საბჭოსათვის და არ გადაეყენებია არჩეული გამგეობის წევრნი, ეხლა რევიზიის ანგარიშის მოხსენების შემდეგ, საბჭოს შეეძლო თავის მხრივ პასუხის გებაში მიეცა ძველი გამგეობის წევრნი და ამ მოვლენას უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა: თვით იმ ფაქტით, რომ ქალაქის წარმომადგენელნი აღძრავდნენ საქმეს გამგეობის წინააღმდეგ, საზოგადოების თვალში ძველი გამგეობის წევრნი მაინც დასჯილი იქნებოდნენ; ეხლა კი, ქალაქის წარმომადგენელნი ხელ-შებორკილსავით არიან: როცა მოპირდაპირისათვის გონიერად, დარბაისლურად ჭკუის სწავლება, შეცდომის გასწორება გინდა და ამავე დროს შენი ვითომდა თანამოაზრე სასტიკ საშუალებას ხმარობს, შენ ძალა-უნებურად გულმტკივნეულობა, თანაგრძნობა უნდა გამოიჩინო დასჯილი მოწინააღმდეგისადმი; სწორედ ასე მოუვიდა ქუთაისის საბჭოსაც: თუმცა ბევრი ურიგო, ნამეტანი უყურადღებობის მიზეზით გამოწვეული, შეცდომები აღმოუჩენია კომისიას ძველი გამგეობის მოქმედებაში, მაგრამ ზემოდ მოხსენებული საერთო ჰსიხიური განწყობილების გამო ყველა შენიშვნები უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა.

მორიგ კითხვებთა შორის საყურადღებო იყო ღარიბ და უქმრისუფლო ბავშვების თავ-შესაფარის მომწყობი საზოგადოების გამგეობის თხოვნა. რუსეთში ამ უკანასკნელ ხანებში დიდ ყურადღებას აქცევენ ასეთ საზოგადოებას: დიდ-ძალია ფული შეკრებილი ამ მიზნისათვის და დიდათაც სცდილობენ, რომ პროვინციებში გავრცელდეს ამ სასარგებლო საზოგადოების განყოფილება; ამ აზრით შემწეობას, ყოველნაირ დახმარებას უჩენენ ახალ დაარსებულ განყოფილებას; ქუთაისში ახლად დაარსებულ ამგვარ საზოგადოებასაც მოუწადინებია ისარგებლოს ცენტრალური დაწესებულებისაგან სასურველი შემწეობით: შუამდგომლობა აღუძრავს, სადაც ჯერ არს, რომ მარტო უვადო და უპროცენტო სესხი მიეცეს ქუთაისის საზოგადოებას ბავშვების თავ-შესაფარ და სამუშაო სახლის ასაგებად; მაგრამ ასეთი შუამდგომლობის გასამართლებლად და ადგილობრივი გამგეობის მოღვაწეობის აღსანიშნავად საჭირო დარჩა რამე მუდმივი ადგილობრივ შემოსავლიანი წყაროს ჩვენება; ამ აზრით ქუთაისის საზოგადოებამ მიმართა თხოვნით ქალაქის საბჭოს და მოითხოვა მისგან ყოველ წლიური შემწეობა 200 მან. თუმცა ზოგიერთ საქველ-მოქმედო საქმეების მოწინააღმდეგე ხმოსნები წინააღმდეგი იყვნენ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენამდის ამ კითხვის გადაწყვეტისა, მაგრამ ხმის უმეტესობით მაინც გადაწყდა საზოგადოების თხოვნის დაკმაყოფილება იმ პირობით, რომ მომავალ ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქმნეს ეს ხარჯიც.

ეკლარის ქვის შემუშავება-გასაღების წესრიგი, გამგეობისაგან შედგენილი, საბჭომ მოიწონა, მხოლოდ ერთმა მუხლმა გამოიწვია სჯა-ბაასი, უთანხმოება: გამგეობის წინადადებით მუშაობის ზედამხედველი და თვით-მმართველობის ინტერესების დამცველი ამ სავაჭრო საქმის გაძღოლაში იქ უნდა იმყოფებოდეს მუდამ, სადაც ქვის მუშაობა არისო. ზოგიერთი ხმოსნები ამტკიცებდენ, რომ სავალდებულოთ ამას ნუ გავხდითო, რადგანაც მაგ საქმის გამგედ გვეჭირია გამჭრიახე, ცოცხალი კაციო და ასეთი პირი უდაბნო ადგილზედ ვერ ჩაიკეტებაო და რომ ასეც იყოს, ამ წესით ჩვენ ჯეროვან სარგებლობას ვერ მოგვიტანსო. დავაყენოთ სანდო, შეგნებული კაცი, მივსცეთ საკმაო ჯამაგირი და ასეთი კაცი პასუხის მგებელი იყოს ქალაქის თვით მმართველობის წინაშე, მიუხედავად იმისა ქუთაისში იქნება ის, თუ სამუშაო ადგილებზედო.

მეფურნეებს და მეთორნეებს თხოვნა მიუცია გამგეობისათვის: სანოვაგე, საშუალება გაძვირდა და **ნიხრს** მოუმატეთო, მაგრამ, გამგეობის მოხსენების თანახმად, საბჭომ ძველი ნიხრი შეუცვლელად დასტოვა.

საღამოს დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

5 დეკემბერი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: «ფინის დრაგუნის პოლკი გაუქმდეს, მის მაგივრად დაწესდეს 55 დრაგუნის ფინლიანდის პოლკი». კომანდირი 49 დრაგუნის არხანგელოს გოროდის პოლკისა, პოლკოვნიკი გრიგორკოვი ინიშნება 55 დრაგუნის ფინლიანდის პოლკის კამანდირად. 6 დეკემბერს მისი უდიდებულესობის სახელწოდების დღეს, ისაკის ტაძარში უნდა შეიკრიბონ დილის თერთმეტ საათზე, ქ ნნი ფრეილინები, ბ.ბ. სასახლის მეორე ჩინები, სასახლის და სხვა კავალრები, რომელთაც სასახლეში სიარულის ნება აქვთ, გვარდიის, ფლოტის და სხვა ჯარების გენერლები და აფიცრობა წირვის მოსასმენად.

დირშაუ. დირშაუს ოსტ-მარკის კავშირის თავმჯდომარემ მისგან გაგზავნილს იმპერიის კანცლერთან მისალოცავ ტელეგრამაზე მიიღო შემდეგი პასუხი: «პროფესორ გოლდს. დირშაუ. გმადლობ დირშაუს ოსტ-მარკის კავშირს გულწრფელი მილოცვისათვის; იმედი მაქვს, რომ ჩვენს აღმოსავლეთ მხარეებში შევიძლებთ უზრუნველ ვყოთ გერმანიზმის ნამდვილი მდგომარეობა».

ლონდონი. იმ შეხედულების გამო ბურების ომზე, რომელიც გამოსთქვა როზბერიმ თავის გუშინდელ სიტყვაში ჩესტერფილდში, იტყობინებიან, რომ ის, როზბერი, იმის მომხრეა, რომ, რაც შეიძლება დიდი ამნისტია იყოს სამხრეთ-აფრიკაში და კიდევ იმისი, რომ ყველა ბურებს, რომლებიც კი მიიღებენ ფიცს ერთგულებაზე, მიეცეთ სამოქალაქო უფლებანი. რაც უფრო ადრე იკისრებენ სამოქალაქო პასუხის გებას, მით უკეთესი იქნება. ვიდრე საბოლოოდ დამშვიდდება მხარე, საჭიროა დაწესდეს ადმინისტრატორების კომისია, როგორც ოსტ-ინდიაშია, რომელმაც ნაციის სახელით უნდა აღადგინოს მხარეში მშვიდობა, წესი და მყუდრობა; ამ კომისიასთან უნდა იყოს კომიტეტი წარმომადგენლებისა უმეტეს ნაწილად ინგლისელთაგან შემდგარი, მათ უნდა ევალებოდეს აშენება და მოწყობა ფერმებისა. ამ გვარად როზბერის სურს, ძალიან ფართოდ მოაწყოს საქმე, დასასრულ წარმოსთქვა იმან, უნდა მოისპოს ესრედ წოდებული კიტჩენერის პროკლამაციაო.

სოფია. როგორც საზოგადოდ ფიქრობენ, კარაველოვს ხელახლა მიანდობენ ახალი კაბინეტის შედგენას.

პარიზი. ელჩმა თავადმა ურუსოვმა სულთნის სასახლეში სადილი გამართა ბელგიის მეფის პატივსაცემლად, რომელიც გავლით იყო აქა; სადილს დაესწრნენ აგრეთვე ბელგიის ელჩი ბარონი ანეტანი, მეფის ამალა და მისიის წევრები.

ქრისტიანია. სტორტინგმა მიანდო მართებლობას, რათა მან გამოსცეს სახელმწიფო სესხი 35 მილიონი კრონი.

ლონდონი. როგორც იტყობინება კიტჩენერი ბლემფონტეინიდან, კომანდირი კრიუცინგერი მძიმედ დაიჭრა განთვერთადას ახლო და ტყვედ არის წაყვანილი.

სოფია. მინისტრ-პრეზიდენტმა კარაველოვმა გამოაცხადა გუშინდელ სახალხო კრებაზე, რომ ვადა, როდესაც უნდა მიეღოთ ხელშეკრულება სესხზე, გავიდა, და რომ ბანკებმა უკან წაიღეს თავიანთი წინადადებანი, ამისათვის სამინისტრო თავს ანებებს სამსახურს, რადგანაც დღევანდლამდე საჭიროდ სთვლის ამ ხელშეკრულებას. თავადის გადაწყვეტილება ჯერ არ იციან.

ბერლინი. გაზეთების ცნობებიდან «ნორდდოიჩე ცაიტუნგა» იტყობინება, რომ დედოფალი არ წავა აბაციაში, რადგანაც 1894 წელს იქ ყოფნამ არაფერი სახეირო შედეგი არ იქონია.

ბრიუსელი. პალატა უარს ყოფს მთავრობისაგან დაწუნებულ ფორმულას, რომ გადავიდენ მორიგ საქმეებზე; ეს აზრი შეიტანა სოციალისტმა ვანდერველდემ. ამ ფორმულაში ის იმედია გამოხატული, რომ ინგლისი მიიღებს ზომებს, რათა სამხრეთ-აფრიკაში შეამციროს ხალხის სიკვდილი. პალატა ხმის უმეტესობით სწყვეტს, რომ გადავიდენ მორიგ საქმეებზე.

რომი. შემდეგ ცხარე ბაასისა, პალატა დებულობს გუშინდელი სხდომის ოქმს, რომელშიაც სოციალისტი ფერრი დასჯილი იყო ხუთის დღის ცენზურით, რადგანაც უარი სთქვა, რომ უკან წაეღო თავისი სიტყვები, რომ მოთომ სამხრეთ იტალიაში პატიოსნება არის მხოლოდ თაზისებში. პალატა უარჰყოფს მოტანის წინადადებას იმის შესახებ, რომ ფერრიზე აიხსნას ცენზურა, რათა მან განმარტოს თავისი აზრი სამხრეთ იტალიის მცხოვრებთა შესახებ. ამ დროს ფერრი, რომელიც შუშიანი კარების უკან იდგა, შემოამტვრევს ფანჯრებს და დაიყვირებს: «პარლამენტიურ კამმორას განაგრძობენ!» (სიცილი, ხმაურობა). პალატამ მიიღო ერთხმივ მთავრობისაგან მოწონებული ფორმულა, რომელშიაც, გამოხატავენ რა ნდობას მართებლობისადმი, ადიარებენ იმედს, რომ ის, მართებლობა, რაც შეიძლება მალე გააუმჯობესებს მდგომარეობას ამა თუ იმისა სამხრეთ-იტალიაში.

პარიზი. უეცრივ გარდაიცვალა ბერლინში ელჩად ნამყოფი გერბერტი.

პარიზი. პალატა სჯის სარწმუნოებათა უწყების ხარჯთ-აღრიცხვაზე. ვალდეკ-რუსსო წინააღდეგია ამ ხარჯთ-აღრიცხვის მოსპობისა და ამბობს, რომ კვალად დარჩეს შეთანხმება. პალატა, 436 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 13, უარჰყოფს მემარჯვენეთა წინადადებას, რომ ვალდეკ-რუსსოს სიტყვა გააკრან კედლებზე, აგრეთვე 350 ხმით წინააღმდეგ 187 სწყვეტავს, რომ სარწმუნოებათა ხარჯთ-აღრიცხვა გაარჩიონ სათითაო მუხლით. ამასთანავე პალატა უარჰყოფს ბერნარის წინადადებას, რომელიც ამბობს, რომ შერიგება არ იყოს აღდგენილი.

ვაშინგტონი. სენატმა 72 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ექვსისა, მიიღო მორიგება ინგლისთან შესახებ ნიკარაგუას არხისა.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Декабря 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.